პროექტის რეფლექსია

2017-2018 სასწავლო წელს დაიგეგმა პროექტი „არა ძალადობას“, რომელშიც სამოქალაქო განათლებასთან ერთად ჩაერთო ისტორია და ქართული.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე მოძიებული იქნა უამრავი მასალა, როგორც ტექსტური, ისე ელექტრონული სახით, მოხდა სამუშაოს გადანაწილება, მათი დახარისხება და პრეზენტაციისათვის მომზადება, მომზადდა პლაკატები და სლაიდ შოუ. ქართულის მხრივ გაკეთდა ლიტერატურული კომპოზიცია, რომელმაც კიდევ უფრო გაამძაფრა ის ეფექტი, რაც ისტორიის ჯგუფის კადეტებმა წარსულის თხრობით გამოიწვიეს.

პროექტის მსვლელობისას კადეტებს განუვითარდათ ახალი მასალის მოპოვების, ანალიზის, სინთეზის, თანამშრომლობითი და კვლევითი უნარები, რაც შემიძლია პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად ჩავთვალო. ასევე დადებითად ჩავთვლი იმ ფაქტს, რომ თუ რამდენიმე მათგანი მაინც გაითვალისწინებს იმ რჩევა-დარიგებებსა და მიღებულ ცოდნა, რაც პროექტის მსვლელობისას მიიღეს. ამ პროექტმა კიდევ ერთხელ ნათლად დამანახა სწავლების ასეთი მეთოდის უპირატესობა და ის ემოციები, რომელიც მოსწავლეში აღიძრება თემატიკიდან გამომდინარე. მიზანი სრულად იქნა მიღწეული.

პროექტის დასასრული მართლაც ემოციული აღმოჩნდა და ეს მუხტი დიდხანს გაგვყვა იქ მყოფთ. პროექტის შედეგიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ შემდეგშიც დავგეგმავ ინტეგრირებულ პროექტებს, რადგან ინფორმაციის მრავალფეროვნება საინტერესოს ხდის მის მსვლელობას, თანაც კადეტთა უფრო დიდი რაოდენობაა ჩართული მასში და რამდენიმე მასწავლებლის აზრთა სხვადასხვაობა მეტ ინოვაციას სძენს პროექტს. ჩემი აზრით როგორც სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა შედეგს მივაღწიე, ნათლად დავანახე ის შედეგები, რაც ადამიანებით ვაჭრობას მოაქვს.

ქ.მელქაძე